

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

ლუკა ბარამიძე

Luka Baramidze

კაფვასეული სასამართლო როგორც
მართლმსაჯულების სისტემის შეფასების სტანდარტი
სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში

Kafkaesque court as a standard of evaluation of the justice
system in the context of the right to a fair trial

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

Educational programme: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree

in Law

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2025

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით
ლუკა ბარამიძე

კაფეასეული სასამართლო როგორც
მართლმსაჯულების სისტემის შეფასების
სტანდარტი სამართლიანი სასამართლოს უფლების
კონტექსტში

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი
დისერტაცია წარდგენილია სამართლის
დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
რეზიუმე
თბილისი

2025

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

დიმიტრი გეგენავა,

სამართლის დოქტორი,

პროფესორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში. თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი.....	2
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, პვლევის თეორიული და	
პრაქტიკული კონტექსტი	7
პვლევის შედეგი	19
განსჯა, მეცნიერული სიახლე	23
დასკვნა	28

შესავალი

თემის აქტუალობა: ბოლო პერიოდში, „კაფვასეულის“ გამოყენება მსოფლიოს სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვითი მოვლენა გახდა. ამ თვალსაზრით ყურადღებას იპყრობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - სტრასბურგის სასამართლო, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში, „კაფვასეულს“, იყენებს ადამიანის უფლებების შესახებ, ევროპულ კონვენციის განმარტების დროს.

მრავალმხრივია ტერმინ „კაფვასეულის“ გამოყენების არეალი ამერიკული სასამართლოების პრაქტიკაში - მოსამართლის განსხვავებული აზრის არსებობისას „კაფვასეულს“ იყენებდნ საკუთრივ სამართლებრივი დამოწმებისთვის; ხშირად, „კაფვასეული“ იხმარება უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაბალი ინსტანციის სასამართლოებში მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ; „კაფვასეულს“ არამარტო იმოწმებენ, არამედ იყენებენ ახალი სამართლებრივი პრინციპების კონსტრუირებისთვის; „კაფვასეულს“ მიზნობრივად მიმართავენ სამართლის ამერიკელი ანალიტიკოსები და კომენტარის ავტორები, როგორც ფედერალურ, ისე შტატების დონეზე განხილული საქმეების მიმართ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის ბუნების გააზრებისა და სამართლებრივ პრაქტიკაში მისი ადეკვატურად გამოყენების თვალსაზრისით; ხშირია „კაფვასეულის“ ე.წ. კონტექსტუალური გამოყენება, რაც გულისხმობს, არამარტო ადამიანის უფლებების, არამედ, ზოგადად, უსამართლობასთან დაკავშირებული შემთხვევების განხილვას „კაფვასეულის“ კონტექსტში.

აღნიშნული ტენდენცია „კაფვასეულის“ მართლმსაჯულების შეფასების აღიარების მზარდ ტენდენციაზე მიუთითებს და აჩვენებს, რომ „კაფვასეული“ შეიძლება განხილულ იქნას „ცოცხალი ინსტრუმენტის დოქტრინის“ კონტექსტში - დღევანდელი რეალობის პრიზმაში. ეს იმას ნიშნავს, რომ „კაფვასეული“ სულ უფრო აქტუალურ ხასიათს იძენს

თანამედროვე პირობებში - სასამართლოს გადაწყვეტილებების შეფასება ხდება, არა მხოლოდ სამართლის მშრალი კონცეპტების, არამედ ლიტერატურული წყარო მოკლებულია საფუძველზეც. ცხადია, ლიტერატურული წყარო მოკლებულია სამართლებრივ ძალას, მაგრამ ის თვალსაჩინოდ და სიმბოლურად ასახავს სამართლებრივი ბიუროკრატიის ბუნდოვან და გაურკვეველ პროცედურებს, სწორედ ამიტომ იმოწმებს, ხშირად, „კაფვას“ ამერიკული თუ ადამიანის უფლებათა ეფროპული სასამართლო თავის პრაქტიკაში.

სამართლებრივი სისტემა კაფვას ნაწარმოებებს აღიქვამს, როგორც სასამართლოს მორალურ შეგონებას და არა წესს, რომელიც, თავისი ბუნებით, შემზღვდავი და მკაცრია. განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა აქვს სტანდარტს, რომელიც უზრუნველყოფს ლეგიტიმური შეზღუდვის შუალედურ დონეს. ის განსაზღვრავს გადაწყვეტილებებს, მაგრამ უზრუნველყოფს არჩევანისა თუ დისკრეციის უფრო ფართო ფარგლებს. სტანდარტი ყველაზე „რბილ“ წესზე უფრო ნაკლებად შემზღვდავია. წესი განსაზღვრავს საწყის მდგომარეობას და შედეგებს, ხოლო სტანდარტი - მნიშვნელოვან მოსაზრებებსა და არჩევანის ერთობლიობას. ასეთია, მაგალითად, პატიოსნების კომპონენტი „International Shoe“ ტესტში. ამ ტესტის მიხედვით სასამართლოს მოეთხოვება იმის შემოწმება - სახელმწიფო ხომ არ არღვევს სათანადო სამართლებრივი პროცედურის მუხლს, როცა ის განსაზღვრავს პერსონალურ იურისდიქციას.

სასამართლო პრაქტიკაში „კაფვასეულის“ გამოყენების კვლევამ აჩვენა, რომ „კაფვასეული“ სხვადასხვა ასპექტით ინმარება. განსაკუთრებით ეფექტიანად წარმოჩინდა ის, როგორც სასამართლო სისტემის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის მიზნობრივი გამოყენება ხელს შეუწყობს სამართლიანობის პრინციპების საყოველთაო რეალიზებას და მის შეუქცევადობას. საყურადღებოა, აგრეთვე, სასამართლო პრაქტიკაში „კაფვასეულის“ გამოყენების მზარდი ტენდენცია, რაც „კაფვასეულისადმი“ მოსამართლეთა კორპუსის მაღალ ნდობას და მის ეფექტურობას ადასტურებს, თუმცა ისიც უნდა

აღინიშნოს, რომ ეს პრაქტიკა სტიქიურ ხასიათს ატარებს და მოკლებულია სისტემურობას. სწორედ ამ ფაქტორებმა გამოკვეთეს დისერტაციის საკვლევი კითხვა: შეიძლება თუ არა პრაქტიკაში დაინერგოს „კაფვასეული“, როგორც მართლმსაჯულების სისტემის შეფასების სტანდარტი?

წინამდებარე კვლევა შეიძლება საფუძველი გახდეს „კაფვასეულის ან, ზოგადად, შესაბამისი ლიტერატურული ნაწარმოების სხვა მართლმსაჯულების ასპექტებითაც გამოყენების გამოსაკვლევად, ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის პროგრამაში „კაფვასეულის“ სასწავლო კურსის შესტანად, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომავალ იურისტებს შორის სამართლიანობისადმი ერთგულების ფორმირებასა და სამართლებრივი აზროვნების განვითარებას.

დისერტაციის პირველ თავში განხილულია „კაფვასეულის“ შინაარსობრივი განზომილება, მისი სამართლებრივი ევოლუცია; ტერმინ „კაფვასეულის“ გამოყენება აშშ ფედერალურ და შტატების სასამართლოებში; „კაფვასეულის“ დამოწმება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა კონტექსტში; განალიზებულია კაფვასეული სასამართლო; დახასიათებულია სასამართლოს ბუნება და სასამართლო განხილვის არსი; განხილულია იურიდიული ვადის ბუნება და სამართლებრვ დაცვის ბუნება;

მეორე თავში აღწერლია კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის შედეგები.

მესამე თავში გადმოცემულია განსჯა და მეცნიერული სიახლე.

მეოთხე თავი მოიცავს რეკომენდაციებსა და დასკვნას.

ნაშრომის მიზანია:

შესწავლილ იქნეს მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობა „კაფვასეულთან“ მიმართებით, გამოვლინდეს ამ სისტემაში „კაფვასეულის“ ფუნქციური ფარგლები, დადგინდეს მართლმსაჯულების სისტემის შეფასების სტანდარტად „კაფვასეულის“ გამოყენების მიზანშეწონილობა, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების საუკეთესო პრაქტიკის განვითარებას და მეცნიერული კვლევების გაფართოებას მართლმსაჯულების სისტემაში მხატვრული ნაწარმოების პროფესიული უნარების განვითარების სისტემის შემადგენელ კომპონენტად ჩამოსაყალიბებლად.

კვლევის ამოცანები:

- „კაფვასეულის“ სამართლებრივი ევოლუციის რეკონსტრუირება.
- „კაფვასეული“ სასამართლოს ბუნების ანალიზი.
- სასამართლო ბიუროკრატიის თანამედროვე კონცეპტის დიფერენცირება.
- „კაფვასეული“ სასამართლო განხილვის არსის დაზუსტება.
- სამართლებრივი დაცვის ბუნების ანალიზი.
- დანაშაულის აღიარების როგორც მართლმსაჯულების შეფასების ინდიკატორის დიფერენცირება.
- გამამართლებელი განაჩენი, როგორც მართლმსაჯულების შეფასების კრიტერიუმის ანალიზი.

ჰიპოთეზა - სავარაუდოდ, კარგი მართლმსაჯულების ჩამოყალიბების პროცესს ხელს შეუწყობს, „კაფვასეულის“, როგორც მართლმსაჯულების სისტემის შეფასების სტანდარტად აღიარება, რომელსაც პირდაპირ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა.

„კაფკასეულის“ სამართლებრივი ბუნების საფუძველზე შესაძლებელია მართლმსაჯულების ცალკეული ელემენტების დეკონსტრუქცია, მათი ჭეშმარიტად სამართლებრივი საზრისების გამოსააშკარავებლად.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომის მეცნიერული სიახლედ უნდა ჩაითვალოს:

1. გამოკვლეულია „კაფკასეული“ ფუნქციური თვალსაზრისით - „კაფკასეულის“ ამბივალენტური ბუნება, რომელსაც ის ავლენს. კაფკას წარმოდგენები კანონსა თუ სამართალზე, ბიუროკრატიასა თუ ავტორიტეტზე, რომლებსაც მოიცავს ზედსართავი „კაფკასეული“ არ არის მარტო უცნაური ეფექტის მქონე შეხედულებები ანდა მარტო ღრმა თეოლოგიური თუ ეგზისტენციალური აზრები, არამედ ისინი განასახიერებენ კანონისა და თანამედროვეობის განსაკუთრებულ კონცეპტებს. ეს კონცეპტები მოქმედებს პარადოქსულად. მათი ერთობლიობა არის სწორედ „კაფკასეული“, რომლის საშუალებითაც კაფკას ნაწარმოებები ღრმად გვახედებენ თანამედროვე სამართლის სხვადასხვა, რთულ ასპექტებში.
2. ჩამოყალიბებულია „კაფკასეული“, როგორც მართლმსაჯულების სისტემის შეფასების სტანდარტი, დასაბუთებულია მისი პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობა;
3. შემუშავებულია კონცეპტი, რომელიც კაფკასეული ნარატივის, როგორც ფიქციისა და კრიმინალური რეალობის სინთეზი და ამავე რეალობის ანალიზის საფუძველია. ის უფრო მეტია, ვიდრე კანონის ინსტრუმენტული გაგება და საშუალებას გვაძლევს, რომ კანონი გავიგოთ, როგორც გამოცდილების ფორმა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა - უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება დაკავშირებულია ტერმინ „კაფკასეულის“ მართლმსაჯულების

შეფასების სტანდარტად გამოყენებასთან მოსამართლეების, ანალიტიკოსებისა და კომენტატორების მიერ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის ბუნების გააზრებისა და სამართლებრივ პრაქტიკაში მისი ადეკვატურად გამოყენების თვალსაზრისით. ყურადსალებია ის, რომ ტერმინი „კაფკასეული“ გასცდა ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს, მყარად მოიკიდა ფეხი არა მარტო იურიდიულ ლიტერატურაში, არამედ სამართლებრივ პრაქტიკაშიც. სადისერტაციო ნაშრომი შეიძლება გმოყენებულ იქნეს ინტერმედიალურ კურსებში სამართლისა და ლიტერატურის თემებზე.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის თეორიული და პრაქტიკული კონტექსტი

ტერმინ „კაფკასეულის“ (Kafkaesque) გააზრებისას ზოგი ავტორი ემყარება ოდენს, რომელმაც კაფკაზე თქვა, რომ ის განასახიერებს ჩვენს ეპოქას როგორც შექსპირი და დანტე თავთავიანთ ეპოქებს განსახიერებდნენ. კაფკა ისე ძალუმად დამკვიდრდა თანამედროვე აზროვნების ძირითად ნაკადში, რომ „კაფკასეულის“ დღეს ჩვეულებრივ იყენებენ ხოლმე გონიერის მიუწვდომელი ბიუროკრატიის აღსანიშნავად და ინდივიდის სასოწარკვეთის გამოსახატავად, რაც მას შიშის ზარდამცემი თუ საზარელი ინსტიტუტების წინაშე ეუფლება. კაფკასეული აბსურდი და საზოგადოდ ტერმინ „კაფკასეულის“ ბუნება სათანადოდ არის აღწერილი კაფკას რომანში „პროცესი“. ასევე კაფკასეული აბსურდი დახატულია კაფკას კიდევ ერთ ნაწარმოებში, „გარდასახვა“, კერძოდ მის პირველივე სტრიქონში: „ერთ დილას, არეული სიზმრის შემდეგ გაღვიძებულმა გრეგორ ზამზამ აღმოაჩინა, რომ საზარელ მწერად გადაქცეულიყო“. შესაძლებელია ცხოვრებაში შეხვდე დიკენსის ან შექსპირის პერსონაჟებს, მაგრამ ვერაფრით შეხვდები კაფკას გმირებს. მეორე მხრივ, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს კაფკასეული გამოცდილება, მაგრამ არავინ არ საუბრობს დიკენსისეულ ანდა შექსპირისეულ გამოცდილებაზე. კაფკას გმირები პარადოქსული

გამოცდილების მქონე საეჭვო და დამახინჯებული რეალობის პერსონაჟები არიან. კაფვასეული ნარატივის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ ხსნა არ არსებობს! ამ სამყაროში ადამიანს მხოლოდ ბედის უკეთურობებთან კონფლიქტში არსებობა შეუძლია. პერსონაჟები აწყდებიან მატერიალიზებულ ძალაუფლებას; ზოგჯერ მათ უწევთ ცხოვრება უსასრულო სამართლებრივ სინამდვილეში, როგორც „პროცესში“. ხანაც სიკვდილით ისჯებიან, როგორც „დამსჯელ კოლონიაში“. ეს ძალაუფლებები ანადგურებენ ადამიანებს. კაფვას მიხედვით არსებობს მიზანი, მაგრამ არ არსებობს მისკუნ მიმავალი ბილიკი. სამყაროში ბევრი იმედია მაგრამ არა ჩვენთვის, ადამიანებისთვის. კაფვას შემოქმედება ღია ფანჯარაა რეალობის უბედურებებში. კაფვა რალისტია, მაგრამ ის ირჩევს წარმოსახულს, ფიქციურსა და მაგიურს როგორც რეალობიდან თავის დასაღწევ საშუალებას. მისი ლიტერატურული უნივერსუმი ფანტასტიკური ალეგორიაა, მაგრამ მასში რეალობასთან კონვერგენციები აღემატება გამოგონილს, ანუ მასში რეალობა უფრო მეტია ვიდრე გამონაგონი. კაფვა ნიღაბს ხდის რეალობას თავის უტოპიურ ლიტერატურულ უნივერსუმში. ეწევა მის დეკონსტრუქციას, რათა მოახდინოს ამ რეალობის რეკონსტრუქცია. იგი აღწევს რუტინულ ურთიერთობებში და ამხელს მათ იმ აბსურდულობის საშუალებით, რომელიც ადამიანებზე ვეღარ ბატონობს. კაფვასეული აბსურდია სწორედ ის, რაც ფარდას ხდის თანამედროვე ადამიანის ილუზიებს. მკითხველისთვის ენიგმატურია კაფვას შემოქმედება და საინტერესოა იმით, რომ ის ძალიან ჰგავს როგორც მოდერნის ისე პოსტმოდერნის მდგომარეობას.

1991 წლის 29 დეკემბერს „თაიმსში“ გამოქვეყნდა ივანა ედვარდსის სტატია „კაფვასეულის არსი“, რომელიც კარგად გამოხატავს კაფვასეულის ბუნებას, თუ რას ნიშნავს ზედსართავი „კაფვასეული“ და რატომ არის ფრედერიკ რ. კარლი (ფრანც კაფვას კრიტიკული ბიოგრაფიის ავტორი) დარწმუნებული იმაში, რომ ამ სიტყვას არასწორად იყენებენ და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მას ბოროტად იყენებენ? ამ მოვლენას თავისებურად

უკავშირდება ის რეაქცია, რომელიც 2016 წელს ჰანგისთვის „ბუკერის“ ჯილდოს გადაცემამ გამოიწვია. მას ჯილდო მიენიჭა წიგნისთვის „ვეგეტარიანელი“, რომლის მთავარ გმირს სურს, რომ ფესვები გაიდგას და ხედ იქცეს. წიგნის შეფასებისას ინგლისელმა გამომცემელმა გამოიყენა სწორედ ტერმინი „კაფვასეული“, რამაც ლექსიკონებსა და ცნობარებში ამ ტერმინს ძიების ახალი ტალღა ააგორა. თუმცა, იმავდროულად, წამოიჭრა შეკთხვა იმის თაობაზე, ხომ არ იყენებენ ამ ტერმინს ჭარბად (მეორე მხრივ, ეს ფაქტი ამ ტერმინისა და მასში მოაზრებული შინაარსის მნიშვნელობაზე მიუთითებს). ფრედერიკ კარლის თქმით, კაფვა მე-20 საუკუნის ის ლიტერატურული ფიგურაა, რომლის სახელი ყველა სხვა მწერლის სახელზე მეტად დამკვიდრდა ენაში „კაფვასეული“ კი ის მდგომარეობაა, როცა შედიხარ სიურეალურ სამყაროში, სადაც კონტროლის ყველა მექანიზმი რომლითაც თქვენს ქცევებს განსაზღვრავთ ნაწილებად იშლება, სადაც თქვენ ანაზდეულად აღმოჩნდებით იმ ძალის პირისპირ, რომელიც ანადგურებს სამყაროს თქვენეულ აღქმას. „თქვენ არ ნებდებით, ფარ-ხმალს არ ყრით და არ კვდებით. იბრძვით თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით, მაგრამ არანაირი შანსი არ გაგაჩნიათ. ესაა კაფვასეული“. ის არის ზედსართავი სახელი, რომელიც „ჩვენი ეპოქის წარმომადგენელია“. იგი ერთი სიტყვაა, რომელიც ამბობს, თუ ვინ არიან ადამიანები, რას შეიძლება ელოდონ, როგორ მოქმედებს სამყარო და ყოველივე ამის გასაგებად თქვენ კაფვას კითხულობთ. სხვადასხვა ავტორს განსხვავებულად ესმის ეს ტერმინი, მაგრამ ყველა მათგანი ხაზს უსვამს ერთ საერთო მახასიათებელს, რომელიც გამოიხატება სიტყვით – „კოშმარული“. „კაფვასეული“ კაფვას კოშმარული სამყაროს გამოხატულებაა. ტერმინი გასცდა ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს, მყარად მოიკიდა ფეხი არა მარტო იურიდიულ ლიტერატურაში, არამედ სამართლებრივ პრაქტიკაშიც. მეტიც, დღეს მას ის ადამიანები იყენებენ, ვისაც კაფვას ნაწარმოებები არც კი წაუკითხავთ ან დიდი ხანია რაც დავიწყებული აქვთ.

„კაფკასეულის“ სამართლებრივ ევოლუციაზე მსჯელობა სულ ცოტა ორი პოზიციიდანაა შესაძლებელი. ორივე მათგანს საფუძვლად უდევს კაფკას სამართლებრივი რეფერენციები. ერთი პოზიციის მიხედვით, ეს ევოლუცია იწყება კაფკას სახელის მოხსენიებით სამართლებრივ სივრცეში, ოღონდ ლიტერატურულ კონტექსტში. „კაფკასეულის“ ევოლუციის ბოლო ეტაპია არა მარტო მისი დამოწმება, არამედ გამოყენება ახალი სამართლებრივი პრინციპების კონსტრუქციისთვის. ამასთან, ტერმინს ხანდახან სამართლებრივი რიტორიკის მიზნებისთვისაც იყენებენ. შეიძლება ითქვას, რომ როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევა სასამართლო დავაში დაცვის მხარეს უკავშირდება. და ბოლოს, ტერმინი „კაფკასეული“ ჩნდება მოსამართლის განსხვავებულ აზრში. ამ უკანასკნელს შეიძლება ეწიდოს ტერმინი „კაფკასეულის“ საკუთრივ სამართლებრივი დამოწმება. კაფკას სახელი პირველად გამოიყენეს ფედერალურ დონეზე, საქმეში: „შეერთებული შტატები დისისტის წინააღმდეგ“. ბრალდებულმა ნებიამ, რომელმაც არ იცოდა ინგლისური, მოითხოვა მისთვის დაენიშნათ თარჯიმანი სახელმწიფოს ხარჯზე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ პირს გადახდილი ჰქონდა გირაო. სასამართლოს შეფასებით განსასჯელი არ იყო ღატაკი და შეეძლო ადვოკატის აყვანა თავისივე ხარჯით. სააპელაციო საჩივარში მსჯავრდებული ამტკიცებდა, რომ მას უარი ეთქვა სამართლებრივ გარანტიებსა და სამართლიან სასამართლოზე. მოსამართლე ფეინბერგის შეფასებით: „სასამართლოს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ პროცესის წარმართვა იმ ენაზე, რომელსაც განსასჯელი არ ფლობდა, თავისი ხასიათით კაფკასებრი (Kafka-like) პროცესი იყო.“ საქმეში „შეერთებული შტატები დოქერის წინააღმდეგ“, მოსამართლე რაითი არ დაეთანხმა საოლქო სასამართლოს იმაში, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაურღვევია სისხლის სამართლის დამნაშავის უფლება სამართლებრივ გარანტიებზე, როცა მან უარი უთხრა მოსარჩელეს პრობაციის ოფიცრის წინასწარი ანგარიშის გამჟღვნებაზე. მოსამართლე რაითის განსხვავებული აზრის მიხედვით, მსჯავრდებული ან განსასჯელი არ უნდა იქცეს „კაფკასეული“ ფარული

პროცედურის მსხვერპლად. ე. ჰიუზის საქმეში მისმა ადვოკატმა ვერ დაარწმუნა მოსამართლე ჰარლანდი იმაში, რომ ის ამბავი, რაც მის კლიენტს დაემართა, სხვა არაფერი იყო თუ არა „კაფკასეული“; მისი შუამდგომლობა, კლიენტის აღიარებითი ჩვენების უკან გამოხმობის შესახებ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება იმითაა გამორჩეული, რომ კაფკას სასამართლო კი არა, არამედ მხარის წარმომადგენელი იმოწმებს თავის არგუმენტაციაში. საქმე „აიზელი თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, დამოწმებულია იმის ნათელსაყოფად თუ როგორ იჩენენ მოსამართლეები საერთო ღირებულებებისადმი ერთგულებას რაციონალური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სასამართლო ცდილობს მოსარჩელეს თავიდან აარიდოს კაფკას იოზეფ კ - სავით სასამართლოდან სასამართლოში სიარული.

საქმეში „აშშ ნოტორიანის წინააღმდეგ“ კი, საქმე გვაქვს საპირისპირო ვითარებასთან. მსჯავრდებულს აეროპორტში აჩერებს სახელმწიფო მოხელე, რომელიც აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ის ხელმძღვანელობს ნარკო გამომიებას და თხოვს ბარგის ჩხრეკის უფლებას. ბრალდებული თანხმდება და სახელმწიფო ორგანოს მუშავი მის ბარგში ნარკოტიკს აღმოაჩენს. სასამართლო მიუთითებს, რომ იოზეფ კ - სგან განსხვავებით ბრალდებული ნოტორიანი სრულად იყო ინფორმირებული მის წინააღმდეგ წარმოებული პროცედურის ბუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ბრალდებულის წინააღმდეგ.

ხშირია ტერმინ „კაფკასეულისა“ და კაფკას ნაწარმოებების გამოყენება ანალიტიკოსებისა და კომენტატორების მიერ როგორც ფედერალურ, ასევე შტატების დონეზე განხილული საქმეების მიმართ, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის ბუნების გააზრებისა და სამართლებრივ პრაქტიკაში მისი ადეკვატურად გამოყენების თვალსაზრისით. „კაფკასეულის“ გამოყენების ამ ჟანრს შეიძლება კონტექსტუალური ექოდოს. ბერჯამინ დევისი, ტოლედოს უნივერსიტეტის სამართლის კოლეჯის მიმომხილველი ამზობს, რომ ხალიდ ალ მასრისთვის, საქმეში სახელმწიფო საიდუმლოს საფუძვლით სხვა სახელმწიფოსთვის მისი გადაცემის წინააღმდეგ აპელაციაზე

უარის თქმით სასამართლომ მას მოუსპო სამართლებრივი დაცვის ყოველგვარი საშუალება, როგორც კ.-ს კაფვას „პროცესიდან“. ტერმინ „კაფვასეულის“ იურიდიული კომენტარის გამოყენების ნიმუშს წარმოადგენს მისი გამოყენება საქმის, „ბოვლზი რასელის წინააღმდეგ“, კონტექსტში. კომენტატორმა მას უმაღლესი სასამართლოს ყველაზე კაფვასეული გადაწყვეტილება უწოდა. აღსანიშნავია, რომ იგი ერთერთ ყველაზე მტკიცნეულ საკითხს, იურიდიულ ვადებს, ეხება, რასაც ყველაზე ხშირად აფარებს თავს „კაფვასეული“. კომენტატორული წერილის ავტორია მაიკლ დორფი, კორნელის სამართლის სკოლის პროფესორი.

უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ფედერალურ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა იურისდიქცია განეხილა სარჩელი "Habeas corpus petition" თაობაზე, რადგანაც სარჩელი შეტანილ იქნა ორი დღის დაგვიანებით. თუმცადა დოკუმენტმა რეგისტრაცია გაიარა ერთი დღით ადრე, ვიდრე ფედერალური მოსამართლე მომჩივანს(შეცდომით) ეტყოდა, რომ რეგისტრაციის ვადა დაცული იყო. ამით ქეით ბოლელმა დაკარგა ბოლო შანსი იმისა, რომ ფედერალურ სააპელაციო სასამართლოს დაედასტურებინა იმის სისწორე, რის შესახებაც ის ამტკიცებდა შეცდომააო, რაც მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთად ანდა სამუდამო პატიმრობად უჯდებოდა.

როგორც კომენტარის ავტორი ამტკიცებს სამართლის არცერთი სისტემა არ ფუნქციონირებს ვადების გარეშე და ზოგჯერ ვადების დარღვევა სამართლიანობის გარდაუვალ უმართებულობას იწვევს მართლმსაჯულების აღსრულებაში. მაგრამ ზემო აღნიშნულ საქმეში უმრავლესობის მოსაზრება მოსამართლე კლარენს თომასმა დაწერა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა თავი აერიდებინა სამართლის ქმნისთვის. ავტორის შეხედულებით ეს მოსაზრება არის სამართლებრივი ფორმალიზმის "reduction ad absurdum" და ერთმნიშვნელოვნად კაფვასეულია. ბოლელის საქმეში აამოქმედეს ფედერალური პროცესუალური სააპელაციო წესების მე-4 წესი, რომელიც უფლებას აძლევს მეორე ინსტანციის სასამართლოს აპელაციის ვადა 14 დღით გაახაზგრძლივოს. მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ დონალდ ნაჯენტმა დააკმაყოფილა

მოსამარჩელე ბოუველის მოთხოვნა ვადის განახლების შესახებ. ბოუველმა აპელაცია 26 თებერვალს შეიტანა, მაგრამ მოსამართლე ნაჯენტმა შეცდომა დაუშვა. მას ბოუელისთვის 24 თებერვალი უნდა მიეთითებინა. ორი დღით დაგვიანება მის გამო მოხდა. მოსამართლე ნაჯენტმა აპელაციის შეტანა ჩათვალა როგორც დროული. მაგრამ აშშ-ის მე-6 ოლქის სააპელაციო სასამართლომ უარყო მოსამართლე ნაჯენტის გადაწყვეტილება და ბრძანა არ დაეკმაყოფილებინა ბოუელის სარჩელი მის მიერ წამიყენებული არგმენტების შეფასების გარეშე. მე-6 ოლქის მოსამართლე თომასმა შემდეგნაირად ახსნა სასამართლოს გადაწყვეტილება: ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთო ორი სახის ვადა. ერთია ის ვადები, რომლებიც მოსამართლის მიერ დადგენილ წესებში გვხვდება. ეს ვადები ემსახურება სასამართლოს ჯეროვნად ფუნქციონირებას. სასამართლოს დისკრეციაა შესაბამის საქმეებში დაადგინოს ან შეცვალოს ვადები. ამ ვადებისგან განსხვავდება ის ვადები, რომლებსაც კონგრესის წერილობით სტატუტებში ვხვდებთ. ეს ვადები განსაზღვრავს სასამართლოების იურისდიქციას. მოსამართლე თომასმა დაწერა და სასამართლომ დაადასტურა, რომ ამ ვადების შეცვლის უფლება სასამართლოს არ აქვს. კომენტარის ავტორის დასკვნით ბოულზის საქმის ფაქტები და გარემოებები საოცრად ჰგავს შემზარავ ალეგორიას ფრანც კაფკას ბნელი რომანის ბოლოსწინა თავში შეშლილობით შეპყრობილი ბიუროკრატიული სახელმწიფოს, სასამართლო პროცესის შესახებ. პროტაგონისტი პ. სასამართლო სისტემის მიერ იდუმალი პროცედურებით დადანაშაულებულია უსახელო დანაშაულში. როდესაც პ. წააწყდება ციხის კაპელანს, ეს უკანასკნელი უხსნის ვ - ს, რომ იგი გულუქბრყვილო იყო კანონისადმი მიდგომისას. ამგვარად, მართლმსაჯულების სისტემის დაყოფა ფედერალურ და შტატის დონეებად ერთგვარი იქარქიული სტრუქტურაა, რაც აჩენს იმის მოლოდინს, რომ კაფკასეული კოშმარი, რომელსაც ადგილი აქვს ცალკეული შტატის მართლმსაჯულების სისტემაში გამოსწორდება ფედერალურ დონეზე. მაგრამ განხილული საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ ასეთი რამ არ ხდება ანდა ხდება, მაგრამ სისტემური ხასიათი არ აქვს. მაგრამ მიუხედავად ამისა,

შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის მართლმსაჯულების ფედერალურ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში კაფკაზე რეფერენციები ხელს უწყობს კაფკასეულის, როგორც მათლმსაჯულების სტანდარტის დამკვიდრებას. ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს სტანდარტის ის განსაზღვრება, რომელიც აღიარებულია სამართლებრივ სივრცეში.

კაფკას ხშირად იმოწმებენ ვაშინგტონის, ნიუ იორკის და ჩიკაგოს სასამართლოები, მაგრამ როგორც ექსპერტები წერენ საგანგაშოა ის, რომ კაფკას ბევრი მიმდევარი ჰყავს ოქროს შტატის, კალიფორნიის სასამართლოებში. ამ მხრივ მრავლისმეტყველია კაფკას დამოწმების დინამიკა მიმდინარე საუკუნის დასაწყისისთვის. 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის კაფკას დამოწმების მხრივ ყველაზე ნაყოფიერი იყო კალიფორნიის სააპელაციო სასამართლო - 25 დამოწმება 20 სხვადასხვა მოსამართლის მიერ. მე-2 ადგილზე იყო კონექტიკუტის სააპელაციო სასამართლო - 12 დამოწმება. მე-3-ზე ნიუ იორკის უმაღლესი სასამართლოს სააპელაციო განყოფილება - 20 დამოწმება. შტატების უზენაეს სასამართლოებს შორის პირველი იყო კოლუმბიის რაიონის სასამართლო - 15 დამოწმება 8 მოსამართლის მიერ. მას მოჰყვება ილინოისის ჩრდილოეთის რაიონის სასამართლო - 10 დამოწმება 6 მოსამართლის მიერ. ილინოისის ჩრდილოეთ რაიონის გაკოტრების საოლქო სასამართლო - 7 დამოწმება მხოლოდ 3 მოსამართლის მიერ. ოლქებს შორის ლიდერი იყო კოლუმბიის ოლქი - 17 დამოწმება 12 მოსამართლის მიერ. 1960-იან წლებში კაფკას სახელი მხოლოდ სამჯერ გამოჩნდა აშშ-ის სასამართლოებში. 1970-იან წლებში კაფკა 42-ჯერ დაიმოწმეს აშშ-ის სასამართლოებმა. 1980- იან წლებში ეს რიცხვი გასამაგდა, როცა კაფკა 142-ჯერ დაიმოწმა აშშ-ის იურიდიულმა აზრმა. 1990-იან წლებში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა და კაფკას 161 დამოწმება მოხდა. 21-ე ს-ის დასაწისში 2000 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით კაფკა 85 -ჯერ დაიმოწმეს აშშ-ის სასამართლოს აზრებში. აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე კენედი ამბობს, რომ ყველა იურისტმა უნდა წაკითხოს კაფკას „პროცესი“, რათა კლიენტების თვალით დაინახოს თუ როგორ აღიქვამს ის მართლმსაჯულებას. კაფკას სახელი არა მარტო მკვიდრად

აღიბეჭდა საზოგადოების ცნობიერებაში, არამედ მისი ნაწარმოებებიდან მოსამართლეებს ხშირად მოჰყავთ ამონარიდები. კაფკას არ მოუხდენია აშშ-ის სასამართლოებზე პირდაპირი ზეგავლენა. აშშ-ის სასამართლომ პირველად დაიმოწა კაფკა მისი გარდაცვალებიდან თითქმის 40 წლის შემდეგ. კაფკაზე ის რეფერენცია, რომელშიც ის დამოწმებულია არა უშუალოდ სასამართლოს მიერ, არამედ მოხსენიებულია არგუმენტსა თუ რეზიუმეში, მისი დამოწმების თავისებურ ჟანრს წარმოადგენს. კაფკა ორნაირადაა დამოწმებული: „Kafka-like“ და „Kafkaesque.“ ბევრად უფრო ხშირად ხდება მისი ამ უკანასკნელი ფორმით დამოწმება. პირველი იურიდიული აზრი აშშ-ში, რომელშიც დამოწმებულია კაფკა 1963 წელს განეკუთხვება. შემდგომ წლებში კაფკას დამოწმებათა რიცხვი სწრაფი ტემპით მატულობს და ეს პროცესი შეუწელებლად მიმდინარეობს. აშშ-ის მოსამართლეები განსაკუთრებულ გულისხმიერებასა და კრეატიულობას იჩენენ კაფკას დამოწმების საქმეში. ამას ნაწილობრივ მათ მიერ განხილული რეალური ცხოვრების საზარელი საქმეები განაპირობებს.

მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, იგივე სტრასბურგის სასამართლო, რომელიც ევროპის საბჭოს საერთაშორისო სასამართლოა და ადამიანის უფლებებზე ევროპულ კონვენციას განმარტავს, გარკვეულ შემთხვევებში განმარტების სტანდარტად იყენებს კაფკასეულს. ეს კი გარდა იმისა, რომ კაფკასეულის მართლმსაჯულების სტანდარტად ქვევის მზარდ ტენდენციაზე მიუთითებს, იმასაც აჩვენებს, რომ კაფკასეული შეიძლება განხილულ იქნეს „ცოცხალი ინსტრუმენტის დოქტრინის კონტექსტში, რომელიც საკითხს არა დამფუძნებლების ჩანაფიქრის, არამედ დღევანდელი გარემოებების პრიზმაში განიხილავს.“ რაც შეეხება მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს, მის მეირ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ „კაფკასეულის“ გამოყენების მხრივ საინტერესოა ე.წ. „კადის“ საქმე, რომელიც ამ მხრივ პარადიგმატულია თავისი ხასიათით. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ კადის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკეს.

კრიტიკოსებმა მასში სასამართლოს მიერ ნაციონალისტური ტრადიციისადმი ერთგულება დაინახეს. საქმე ის არის, რომ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ 2008 წ. გაამართლა კადი, რადგანაც მან ვერ შეძლო მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების დასაბუთება. მაგრამ სასამართლომ ძალაში დატოვა კადის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები, მისი აქტივების გაყინვა. ამის მიზანად კი დასახელდა ის, რომ სასამართლო ვერ უზრუნველყოფდა კადისთვის ეფექტიან სამართლებრივ დაცვას. კადის საქმე ზოგადად განიხილება როგორც ინსტიტუციური კონფლიქტი, რის შედეგადაც მოსარჩელე კაფვასეული მართლმსაჯულების მსხვერპლად იქცა. ამ საქმემ, ასევე, ხელი შეუწყო ზოგადად მართლმსაჯულების სისტემებისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების გამოვლენას. კადი არა მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვანი შემთხვევაა უამრავი შიდა სისტემური დოქტრინალური პერსპექტივიდან, არამედ ასევე სასარგებლოა ამ შემთხვევის შესწავლა თავად სამართლის ბუნების გამოსაკვლევად. კადის საგა აჩვენებს სამართლებრივი სისტემის უნარს, გამოიტანოს სამართლიანი შედეგები უსამართლო კანონების ფონზე, ასევე მის პოტენციალს, რომ უფრო რთულ და ფრაგმენტულ სამართლებრივ ძალთა განლაგებაში, გამლიეროს იმის განცდა, რომ კანონის ბუნება შეუცნობელი და მიუწვდომელია. კადის საქმე შესაძლებლობას იძლევა შეკითხვა დაისვას კანონის, როგორც სოციალური არტეფაქტის ბუნების შესახებ. საქმე ის არის, რომ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ წდომა სამართლის სიტემის შიდა მხარეზე, უჩნდებათ მოთხოვნა იცოდნენ ის, თუ როგორია სამართლებრივი სისტემის მუშაობის შინაგანი მექანიზმი. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ თავის აზრში არ მიუთითა კაფვაზე ანდა მის „პროცესზე“ ამერიკული და ბრიტანული სასამართლოებისგან განსხვავებით. ლიტერატურული წყარო, რა თქმა უნდა, მოკლებულია სამართლებრივ ძალას, მაგრამ ის თვალსაჩინოდ და სიმბოლურად განასახიერებს ბუნდოვან და გონებით მიუწვდომელი სამართლებრივი ბიუროკრატიის ბუნდოვან პროცედურებს, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომლებსაც სამართალი ემყარება. თუმცა ადამიანის

უფლებათა ევროპული სასამართლო იმოწმებს კაფვას. სამართლებრივი სისტემა კაფვას ნაწარმოებებს აღიქვამს ხოლმე როგორც სასამართლოების მორალურ შეგონებას. ეს გავს ტელესერიალ „პერი მეისონის სასამართლოს,“ სადაც ქარიზმატული ვექილი კანონის პროცედურებს იმ ადამიანების სასარგებლოდ იყენებს, რომლებმაც ბრალი უსამართლო კანონებით წაუყენეს. ცნობილია კადის ორი საქმე: კადი 1 და კადი 2. კადი 2-ის კვანძის გახსნა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში, შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც კაფვას „პროცესის“ დისნეიფიკაცია. მაგრამ, კადის საქმის მხოლოდ ბედნიერი დასასრული არ არის ის, რისი თქმაც ამ საქმეს შეუძლია ჩვენთვის კაფვას შემოქმედების შუაზე. მართალია, კადის საქმესა და კ.-ს პროცესს შორის ბევრი მსგავსებაა, მაგრამ შესაძლებელია მათგან კონტრასტული დასკვნებიც გამომდინარეობდეს. თუკი ადამიანი კაფვას მხატვრულ აღწერებს ჩაუდრმავდება, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმაზე თუ როგორ ეძლევა თავიანთ გამოცდილებაში სამართალი იმ ხალხს, რომელსაც არ გააჩნია ის პრივილეგია, რომ წარმოდგენა ჰქონდეთ სამართლის სისტემის შინაგან მუშაობაზე. სწორედ ამ მომენტს, თუ როგორ აღიქვამს რომანში „პროცესი“ სამართალს არაიურისტი არ ითვლისწინებენ სამართლის თეორეტიკოსები ვიდრე ეს არ აშვარავდება ისეთი საქმეების სახით, როგორიც კადის საქმეა. ამ საქმეში, სულ ცოტა, ორი მომენტია მნიშვნელოვანი: ერთი ის, რომ სამართალს აქვს შინაგანი უნარი, რათა „თავი დაიხსნას“ რთული გარემოებებიდან; და მეორე ის, რომ ადამიანისთვის ცხადი ხდება სამართლისთვის დამახასიათებელი შეუმეცნებლობა და მიუღწევლობა მათთვის, ვინც მას ემორჩილება. კანონი აწესრიგებს ქვევებს როგორც „Ex ante“ მისი სტანდარტების დადგენით ისე „ex post“ სასამართლო გადაწყვეტილებით. კანონი განიცდება ისე როგორც ის აღწერლია კაფვას „პროცესში“ და რეალურ ცხვორებაში ის შემოდის კადის საქმის სახით. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ კადის საქმზე მიღებული გადაწყვეტილებით წამოჭრა სამართლის თეორიის, კონსტიტუციური სამართლისა და საერთაშორისო სამართლის როგორც არსებითი ისე პროცედურული საკითხები. კადის საგამ

აჩვენა ის თუ როგორ უნდა მოხდეს ევროპის სამართლებრივი სივრცისთვის გარე სამართლებრივი ნორმების „ინტერნალიზება“, ევროკავშირის ავტონომიური სამართლის სისტემის ჩამოყალიბება. სწორედ ეს იქცა ისეთ სენსიტიურ სამართლებრივ საქმეში ჩარევის წანამდღვრად, როგორიც კადის საქმეა. ის მნიშვნელოვანია სწორედ იმ იურიდიული შედეგებით, რომლებიც მისგან გამომდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „კაფკასეული“ ფართოდ გამოიყენება ის, რა თქმა უნდა, არ არის იურიდიული ინსტრუმენტი, რომ მისი გამოყენება სასამართლოების მიერ თუ ზოგადად იურიდიულ სივრცეში სავალდებულო იყოს. „კაფკასეულის“ გამოყენების საქმეში დიდ გულმოდგინებას იჩენენ აშშ-ის ორივე დონის სასამართლოები, რაც არ ითქმის ევროპის ეროვნულ სასამართლოებზე. მაგრამ ეს ტერმინი არცთუ იშვიათად გამოიყენება ევროპული სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონტექსტში, როცა ისინი კრიტიკულად აფასებენ სწორედაც ევრონული სასამართლოების გადაწყვეტილებებს. მეორე მხრივ, ადგილი აქვს „კაფკასეულის“ გამოყენებას ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონტექსტში. კონტექსტუალური გამოყენება შესაძლებელია, „კაფკასეულის“ გამოყენების ცალკე უანრიც კი იყოს. ასეთ პრაქტიკას უფრო არაიურისტი ანალიტიკოსები მიმართავენ. ამასთანავე გასათვალისწინებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კაფკაზე და მის „პროცესზე“ უფრო ამერიკული და ბრიტანული იურიდიული აზრი უთითებს. ამის დასტურად გამოდგება შემდეგი საქმე ბრიტანული მართლმსაჯულებიდან.

კვლევის შედეგი

კაფვა ხატავს სამართლის ირაციონალურ სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ მისი პროტაგონისტის კ.-ს მიხედვით სასამართლო სისტემა უნდა იყოს პატიოსანი, პროგნოზირებადი და რაციონალური, მან თავის თავზე იწვნია სამართლის ირაციონალური სისტემა, მისი თვითნებურობა და გონიერისთვის მიუწყვდომლობა. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა ემყარებოდეს რაციონალური არჩევანის თანაზიარ ღირებულებებს. ინდივიდუალურ მოსამართლეებს სამართლის სისტემა უნდა აძლევდეს თავიანთ გადაწყვეტილებებში რაციონალური არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების რაციონალური პროცესისადმი თავიანთი ერთგულების გამოხატვის სამუალებას.

საინერჯესოა ის, რომ თითქმის ყველა ქსპლიციტური წყარო, რომელიც მოხსენიებულია იურიდიულ აზრებში ტრადიციული ლეგალური წყაროა ე.ი. საქმეები, სტატუტები და მეორადი მასალა. ხან გამოყენებულია არატრადიციული წყაროები, მაგალითად მხატვრული ლიტერატურა. თანამედროვე მოსამართლეებს შეუძლიათ თავიანთი თავი დაინახონ „პროცესის“ ფიქციურ სამართლებრივ პროცედურებში. მეორე მხრივ, არც „პროცესი“ და კაფვას არც სხვა სამართლის რეცეფციაზე დაწერილი ნაწარმოები, როგორც მხატვრული გამონაგონი არც სამართლებრივ პრეცედენტად გამოდგება და არც იურიდიულ გადაწყვეტილებათა საფუძველად.

ცხადია, სასამართლო წარმოების ერთ-ერთი ფომაა. ამაზე მიუთითებს ტერმინი „საქმის სასამართლო წარმოება“. იგი გულისხმობს, რომ სასამართლო ესახურება მის კლიენტებს. ამგვარი მომსახურება კი, ბუნებრივია, ნიშნავს ბიუროკრატიის, კერძოდ სასამართლოს ბიუროკრატიის არსებობას. მაგრამ სასამართლოს ბიუროკრატიაზე საუბარი ტოლობის ნიშანს, რა თქმა უნდა, არ სვამს ამგვარ ბიუროკრატიასა და „ბიუროკრატიულ სასამართლოს“ შორის. არამედ ამით ხაზგასმულია ის, რომ სასამართლოს როგორც წარმოების ფუნქციონირებას აფერხებს ე.წ. ჭარბი ბიუროკრატია, რის გამოც სასამართლოს ფუნქცია მის დისფუნქციურობად იქცევა.

კაფვასეული ბიუროკრატიული სასამართლო როგორც მართლმსაჯულების სტანდარტი სწორედ იმას აჩვენებს, რომ სასამართლო რაციონალურად ბიუროკრატიული უნდა იყოს და არა ბიუროკრატიულად დისფუნქციური. ნიშანდობლივია, რომ ეს პროცესი ეკონომიკური ტერმინებით, პროდუქტი და მომსახურება, აღიწერება, მაგრამ ხდება მათი იურიდიული შინაარსით გასაზრისიანება. საუბარია იმ ვარაუდზე, რომელიც უშვებს იურიდიული პროდუქტის ან სამართლებრივი მომსახურების შეფასების ორ საშუალებას: მოთხოვნებთან შესაბამისობასა და იმ სხვაობის შეფასებას, რაც თავს იჩენს მოსალოდნელ შედეგსა და მომხმარებლის მოლოდინს შორის. ერთი საშუალება გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების არსებობას. საქმე ეხება იურიდიული მომსახურების გარკვეული მახასიათებლების ამ ინდიკატორებთან შესაბამისობის დადგენას. ისე, რომ შესაბამისობა შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ტერმინია. მაგრამ მეორე მხრივ, საშუალება სწორედ გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებაა. ამგვარად, იურიდიული მომსახურების ხარისხის შეფასება ხდება მიზნისა და საშუალების სქემის გამოყენებით. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანი იმის განსაზღვრის მცდელობაა თუ რამდენად არის უზუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლება როგორც სამართლებრივი მომსახურების მიზანი. სასამართლოს ბიუროკრატიულობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მართლმსაჯულების შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორი. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ განვითარება ხდება არა მზარდი, არამედ კლებადი, მინიმალური ბიუროკრატიზაციის მიმართულებით. ეს კი ემყარება მართლმსაჯულების პროცესის მზარდი რაციონალიზაციის საერთო ტენდენციას.

მეორე მხრივ, აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მართლმსაჯულების სისტემაში. ტექნოლოგიას შეუძლია, გააუმჯობესოს სასამართლოს პროცესის ეფექტურობა და გამჭვირვალობა და გაუადვილოს ინდივიდებს მართლმსაჯულებაზე წვდომა. ტერმინი „ელექტრონული მართლმსაჯულება“ თავის თავში მოიცავს ინიციატივის ფართო

სპექტრს, მათ შორის: ელექტრონული ფოსტის გამოყენებას, ონლაინ რეჟიმში სარჩელების შევსებას, ინფორმაციის შესახებ ჩანაწერს (მათ შორის პრეცედენტული სამართალის შესახებ), ვიდეომოსმენების, ვიდეოკონფერენციების, რეგისტრაციისა და საქმის პროგრესირების ონლაინ რეჟიმის საშუალებით თვალყურის დევნებას და მოსამართლის ან რომელიმე სხვა გადაწყვეტილების მიმღები პირის ინფორმაციაზე ელექტრონულად წვდომის უფლებას.

ამგვარად, სასამართლიანი სასამართლო არ არის თვითმიზანი. იგი კარგი მართლმსაჯულების მიღწევის საშუალებაა. ასევე მნიშვნელოვანია, სასამართლოს გამჭვირვალობის მოთხოვნა, რომელიც სასამართლოს ის ნიშანია, რომლის საშუალებითაც ხდება მართლმსაჯულების ვიზუალიზაცია. თავისთავად სასამართლო არც სამართლიანია და არც უსამართლო. მიუხედავად იმისა, რომ აქ პროცედურული სამართლიანობა იგულისხმება. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს ეს მახასიათებლები უჩნდება როგორც სამართალი ზნეობასთან ურთიერთობაში შედის. სასამართლოზე დისკურსში ნიშანდობლივია ისეთი ტერმინები როგორიცაა სასამართლოს არსი, რაც იგივე მისი ბუნებაა. სასამართლოს ვალდებულებები მისი არსიდან მომდინარეობს. ასევე მნიშვნელოვანია სასამართლოს ცნება, სასამართლოს ცნების კომპონენტები, ტრიბუნალის(სასამართლოს) სუბსტანციური მნიშვნელობა. სასამართლოს ბუნება უნდა იყოს ის, რომ ის არის სამართლიანი. სასამართლოს სამართლიანობაზე ხაზგასმა გულისხმობს იმას, რომ შეიძლება სასამართლო უსამართლოც იყოს. მეორე მხრივ სამართლიანობა, და შესაბამისად სამართლიანი სასამართლო, კომპლექსური ფენომენია. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო არის ის, რაც კანონში მის შესახებ წერია. სასამართლოს არსი მის სუბსტანციურ ნიშნებში, დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში, ვლინდება. სუბსტანციური ფუძემდებლურს ნიშნავს, იმას რაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს აფუძნებს.

მეორე მხრივ, სასამართლოს ბუნებას, მის ხასიათს, მის არსებობის მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა არსი. სასამართლოს არსი იხსნება იმ მიმართებაში, რომელიც მას აქვს ადამიანის უფლებებთან. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ასეთ მიმართებას. თუ ის არ არსებობს, მაშინ სასამართლო კი არ იარსებებს, არამედ არასასამართლო. მაგრამ მეორე მხრივ, არსებობს აბსოლუტური და ფარდობითი მიღვომები. სწორედ ეს განსაზღვრავს უფლების შეზღუდვის დასაშვებობას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გ1-ის მიხედვით აქ მოქმედებს საშუალება-მიზანს მორის მიმართების სქემა. მთავარია ის თუ რამდენად პროპორციულია მოცემული საშუალება მისაღწევ მიზანთან მიმართებაში.

გასათვალისწინებელია ის, რომ ერთი მხრივ, ადგილი აქვს სასამართლოს დისკრეციასა და დისკრეციის გაზრდისკენ მისწრაფებას. მეორე მხრივ, რეკომენდებულია სასამართლოს თვითშეზღუდვა. ორივე ტენდენციას ადგილი აქვს როგორც ევროკავშირის ისე ეროვნული მართლმსაჯულების დონეზე. შეიძლება იმის თქმა, რომ მართლმსაჯულების ხარისხი დამოკიდებლია ამ ორ ტენდენციას შორის ბალანსზე.

ცნობილია, რომ საერთაშორისო და უსაფრთხოების პოლიტიკის საერთო აქტებზე კონტროლს ახორციელებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო. მაგრამ, გასათვალისწინებელია ორი გარემოება: ჯერ ერთი, მოხდა მისი „განსაკუთრებულობის“ შეზღუდვა. მეორე მხრივ, ცვლილებები გამოიწვია ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ ევროკავშირის სტრუქტურების შერწყმამ და განხორციელდა აღნიშნული სასამართლოს თვითშეზღუდვა.

სასამართლოს დამოუკიდებლობაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება თავისუფლება, დამოუკიდებლობა ხელისუფლების სხვა შტოებისგან. ერთი მხრივ, სასამართლოს დამოუკიდებლობა თავისუფლების ნებატიური გაეგების საფუძველზე ყალიბდება. მეორე მხრივ, ამგავარი დამოუკიდებლობა განიხილება როგორც მისი შინაგანი თავისუფლების წინაპირობა.

თავი III. განსჯა, მეცნიერული სიახლე

წინამდებარე ნამრომის მთავარი ინტერესი არ არის ტერმინ „კაფვასეულის“ გენეზისის, მისი წარმომავლობის პვლევა; არამედ მას ეს ტერმინი აინტერესებს ფუნქციური თვალსაზრისით. ტერმინი „კაფვასეული“ არ არის ერთმნიშვნელოვანი, მით უმეტეს როცა საქმე ლეგალური სიტუაციებისადმი მის მიყენებასა და ლეგალურ პრაქტიკაში მის გამოყენებას ეხება. სწორედ ეს ვითარება განსაზღვრავს ტერმინ „კაფვასეულის“ ღირებულებას. „კაფვასეული“ იურიდიული კუთხით იმის გამორკვევას გულისხმობს თუ როგორ მიესადაგება მისი ელემენტები ცალკეულ ლეგალურ სიტუაციას. კაფვას წარმოდგენები კანონსა თუ სამართალზე, ბიუროკრატიასა თუ ავტორიტეტზე, რომლებსაც მოიცავს ზედსართავი „კაფვასეული“ არ არის მარტო უცნაური ეფექტის მქონე შეხედულებები ანდა მარტო ღრმა თეოლოგიური თუ ეგზისტენციალური აზრები, არამედ ისინი განასახიერებენ კანონისა და სამართლის განსაკუთრებულ კონცეპტებს. ეს კონცეპტები მოქმედებს პარადოქსულად. მათი ერთობლიობა არის სწორედ „კაფვასეული“, რომლის საშუალებითაც კაფვას ნაწარმოებები ღრმად გვახედებენ თანამედროვე სამართლის სხვადასხვა, რთულ ასპექტებში. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ „პროცესი“ კანონისა და სამართლის თანამედროვე მდგომარეობის დიაგნოზს სვამს, ხოლო „გოდოლი“ თერაპიას გვთავაზობს. კაფვას ნაწერებს გავყავართ კანონის ინსტრუმენტული გაგების(რომელიც განვითარებულ იქნა ლეგალური პოზიტივიზმის სხვადასხვა სკოლაში) მიღმა და საშუალებას გვაძლევენ, რომ კანონი გავიგოთ როგორც გამოცდილების ფორმა. „კაფვასეულის“ საფუძველზე გაჩნდა გამოთქმა „კაფვასეული უნივერსუმი“, რომელშიც კაფვას გმირები პარადოქსული გამოცდილების მქონე საეჭვო და დამახინჯებული რეალობის პერსონაჟები ცხოვრობენ. ზოგჯერ მათ უწევთ ცხოვრება უსასრულო ლეგარულ რეალობაში როგორც „პროცესში“. ზოგჯერაც მათი ხვედრი წამების გზით სიკვდილია როგორც „დამსჯელ კოლონიაში“. კაფვას გმირები აწყდებიან კორუმპირებულ ლეგალურ სისტემას. კაფვასეული ნარატივი არის ფიქცია, გამონაგონი, რომელსაც ემატება

რეალობა, კრიმინალური, ლეგარული რეალობა. ფუნქციური თვასაზრისით სწორედ ამ რეალობის ანალიზს უწოდს ხელს „კაფვასეული“ როგორც ტერმინი და კონცეპტი. ბენიამინი წერს, რომ „კაფვას ნაწარმოებებში დაწერილი კანონი არსებობს კოდექსებში, მაგრამ ის საიდუმლოა“. ის ასევე წერს, რომ კაფვას ნარატივის მიხედვით ადამიანი შეუვალი ბიუროკრატიული აპარატის ხელშია, რომლის ფუნქციინირებას წარმართავს ისეთი ინსტანციები, რომლებიც არ შეესაბამება თვით ამ ინსტანციებს არათუ იმ პერსონებს, რომლებითაც ისინი მანიპულირებენ. არ არის აუცილებელი იურისტი იყო იოზეფ კ.-ს ტანჯვის გასაგებად, რომელსაც გადმოგვცემს კაფვასეული ნარატივი, გამონაგონისა და რელობის ნაზავი. „კაფვასეული“ საინეტერესოა არა მარტო იურისტებისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც ცდილობს კაფვასეული სარკმლიდან შეხედოს მის მიერ დახატულ დაბურულ, ბუნდოვან პორიზონტს. ერთი სიტყვით კაფვას შემოქმედება აღვსილია ლეგალური საკითხებით. ფანტასტიკური ლიტერატურის არცერთ მწერალს იმდენი არ აქვს სათქმელი სამართალზე და კანონზე, რამდენიც კაფვას, რომელიც თვითონ იყო იურისტი. მისი დიდი რომანი: „პროცესი“ იწყება მთავრი გმირის იოზეფ კ.-ს დაპატიმრებით და მთავრდება ერთი წლის შემდეგ მისი სიკვდილით დასჯით.

კაფვამ სამართალი გამოიყენა როგორც თავისი ლიტერატურის მატრიცა, რადგანაც ეს სწორედ ის საგანია, რომელიც მან ძალიან კარგად იცოდა. კაფვა ყველაფერს ჭვრეტდა პერსონაჟის გამოცდილების სარკმლიდან და ეს სარკმელი სხვა არაფერია თუ არა სამართალი როგორც გამოცდილება. ავსტრო-უნგრეთის იმპერიის სისხლის სამართლის პროცესი ინკვიზიტორული საგამოძიებო პროცესი იყო და ორ ეტაპს მოიცავდა: წინასწარ გამოძიებას და საკუთრივ სასამართლო პროცესს. პროცესი იწყებოდა ბრალდებით, რომელიც შეიძლება პიროვნებას არ ცოდნოდა. გამომძიებელ მოსამართლეს ჰქონდა ფართო ძალაუფლება. ბრალდებული შეიძლება არ ყოფილიყო გაცნობილი გამოძიების შედეგებს ვიდრე ბრალი საბოლოოდ არ დადასტურდებოდა. წინასწარი გამოძიება ზოგჯერ აუცილებელი იყო ბრალდებულისგან დანაშაულის აღიარების

მოსაპოვებლად რასაც პროცესზე გარდუვალად მოჰყვებდა ბრალის დამტკიცება. კაფვას კარგად ჰქონდა შესწავლილი როგორც კანონიკური ისე რომაული სამართალი. ამ უკანასკნელს ის „საზიზდარს“ უწოდებდა. რაც შეეხება კანონიკურ სამართალს, მისი დოქტრინების კაფვასეული ცოდნა ნათლად ვლინდება იგავში „კანონის წინ“. კაფვა „პროცესის“ ამ თავში შეგნებულად მთავრული ასოთი წერს კანონს, რითაც ხაზს უსვამს მის მიუწვდომელ და მისტიკურ სტატუსს. „კაფვასეულის“ მიხედვით კანონს არ აქვს შინაარსი. აქედან კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ კანონი როგორც კაფვასთან ისე რეალობაში ცარიელი და მხოლოდ მისთვის შინაგანად დამახასიათებელი პარადოქსების თუ რეიფიკაციის წყალობით არსებობს. რის საფუძველზეც რაღაც, რასაც არ გააჩნია რეალური ფორმა თუ შინაარსი „ფანტომურ ობიექტურობას“ იძენს, რაც მისი უაღრესად ფორმალიზებული და ბიუროკრატიული ფორმის დამსახურებაა. ამიტომ კანონი მის შედეგზე ანუ განაჩენზე დაიყვანება და მას არ აქვს შინაარსი ვიდრე ის შედეგის სახით არ მოგვეცემა. კაფვა წერს სამართალზე, რომელიც თავიანთ გამოცდილებაში ეძლევა იმ ადამიანებს, რომლებიც კანონის მორჩილებაში არიან, მაგრამ არ აქვთ ცოდნა მისი შინაარსის შესახებ. გარე დამკვრვებლისთვის ის არალოგიკური და მიუწვდომელია. ამგვარ შინაარსობრივ დაცარიელებას გულისხმობს დეკონსტრუქციის მეთოდი. სამართლის შინაარსი ერთი მხრივ, ფრაგმენტული, მეორე მხრივ კი - ბევრად უფრო კომპლექსური გახდა, რადგანაც ის ტექნოკრატიული სამყაროს რეგულაციის ხელსაწყოდ იქცა. ეს მოძრაობა გვპირდებოდა უფრო კარგ სამართალს, მაგრამ სინამდვილეში მან გაზარდა სამართლის, კანონის ცოდნისთვის მიუწვდომლობა, რასაც საკუთარ გამოცდილებაში აწყდება იოზეფ კ. და ყველა გარე დამკვრვებელი.

ეს საკითხი სიღრმისეულ კავშირშია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლების (fair trial) მარეგულირებელი ცენტრალური ნორმაა, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი სამართლებრივ-

სახელმწიფო უფლებრივი საპროცესო გარანტიები. იგი კონსტიტუციის მე-18 და მე-40 მუხლებთან ერთობლიობაში, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან საპროცესო უფლებებს შეიცავს, ქმნის ძირითადი კანონით გარანტირებული იუსტიციური უფლებების ერთობლიობას. სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს საერთო ევროპულ ფუნდამენტურ ელემენტს. იგი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის“ უმნიშვნელოვანეს ნაწილად განიხილება. ამ კონსტიტუციური ნორმების ანალოგიურად, იუსტიციური უფლებები გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5, მე-6, მე-7 მუხლებითა და მე-7 დამატებით ოქმით, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტის მე-14 მუხლის პირველი-მე-3 აბზაცებით, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლით.

მეორე მხრივ, „ბიუროკრატიული სიჩუმე“, რომელშიც კვდება მართლმსაჯულება შეიძლება იყოს არა მარტო ევროპული კავშირის წევრი ქვეყნების ნაციონალურ სასამართლოებში, არამედ ევროპის სხვა არაწევრი ქვეყნების სასამართლო სისტემებშიც. საქმეები, რომლებიც ეხება იტალიის ნაციონალური სასამართლოს შეკითხვებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსთვის.

არსებობს დისკურსი, რომელშიც საუბარაია სამართლიანი სასამართლოს ცნების ბუნდოვანებაზე, რომელიც ძალზე ფართო დისკრეციას აძლევს მოსამართლეს. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ევროპული სამართლის სახელმძღვანელოში მოცემულია ისეთი კონცეპტები როგორიცაა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, პროცედურის ხანგრძლივობა, პროცედურის ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრის კრიტერიუმი. ბუნებრივია ჩნდება აღქმა, რომ ასეთი შეზღუდვა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ბიუროკრატიასთან. იგივე შეიძლება ითქვას პროცედურის ხანგრძლივობაზეც. საბოლოო ჯამში, შეიძლება ირღვეოდეს

სამართლიანი სასამართლოს უფლება. ბიუროკრატიული სიჩუმე, მყუდროება, რომელშიც მართლმსაჯულება კვდება რაღაცნაირად ჰგავს კაფკასეული სასამართლოს ბიუროკრატიულ ატმოსფეროს.

არსებობს სასამართლო ბიუროკრატიების მომავლის სხვაგვარი ხედვაც. გადაწყვეტილების ვადებზე უმეტესად გავლენას ახდენს მოსამართლეთა დატვირთვა, რაც, გარდა სასამართლო საქმეების რაოდენობისა, დიდწილად დამოკიდებულია საქმეების სირთულეზე.

რეტროსპექტულმა, ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სასამართლო სამუშაო დროის მოთხოვნის ოდენობა, საქმეების, როგორც დამოკიდებული ცვლადის დასასრულებლად, დაკავშირებულია საქმის მასალების გარკვეულ არსებით და პროცედურულ ატრიბუტებთან, როგორც დამოუკიდებელ ცვლადებთან. მაშასადამე, შესაძლებელია შემუშავებულ იქნეს ალგორითმზე დაფუძნებული პროგნოზირების მოდელი. ეს შესაძლებელს გახდის მოსამართლეთა დატვირთვის გაზომვისა და განაწილების სისტემის შექმნას.

აღსანიშნავია, რომ კარგი მართლმსაჯულების ზუსტად ჩამოყალიბებული ცნება არ არსებობს. ხარისხის შეფასების კონცეფცია, რომელიც მართლმსაჯულებაში გამოიყენება, ევროპაში ცხარე დებატების საგანს წარმოადგენს. განსხვავებული პოზიციების შეჯამება შეუძლებელია, რამდენადაც ხარისხის კონცეფცია დღემდე ზოგად მიდგომას ეფუძნება, იმასთან დაკავშირებით, თუ რა იგულისხმება კარგ მართლმსაჯულებაში. არსებობს საშიშროება, რომ მოხდება საკითხის ძალიან სწრაფი გადაწყვეტა რამდენიმე ინდიკატორის განსაზღვრით, რომლებიც ორიენტირებულია სასამართლო სისტემის სპეციალურ ასპექტებზე.

მეორე მხრივ, აშკარაა, რომ კაფკა ირონიულად ხატავს სასამართლოს, როგორც ძალაუფლების ინსტანციას, რომელიც ფარულია და გაუგებარი. მაგრამ გასათვალისწინებელია ფუკოს აზრი იმის შესახებ, რომ თანამედროვე ეპოქაში იურიდიულ სისტემას აღარ შეუძლია ძალაუფლების კოდიფიცირება. კაფკას

სასამართლო დაცლილია როგორც ლოგიკიდან ისე ხელშესახები მატერიალიზაციისა და ხილული რეპრეზენტაციებისგან. ფუკო ფიქრობს, რომ თანამედროვე დისციპლინარული ძალაუფლებაც მოკლებულია ამ თვისებებს. მეორე მხრივ, დანაშაული სულ ცოტა, ნაწილობრივ ფესვგადგმულია სასამართლოების მეთოდოლოგიაში და არა რელიგიასა თუ მეტაფიზიკაში. შესამამისად, შივრიკი ეუბნება იოზეფ კ.-ს: „ჩვენთან, როგორც წესი, უშედეგო პროცესები არ იმართება“. აღსანიშნავია, რომ „პროცესი“ ზედმიწენით გამოხატავს წინასწარი გადაწყვეტილების რეალობას. ამგვარად, სუბიექტში ჯერ არის დანაშაული და მერე მოსდევს მას შესაბამისი მტკიცებულებები. მათებატიკის ანალოგით გადაწყვეტილება იქნება ალგებრული გამოსახულების მსგავსი, რომელშიც ცნობილია პასუხი და შემდეგ ხდება მტკიცებულებებით მისი უზრუნველყოფა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ კაფუას თვითობები მართალია, მიჯაჭვულნი არიან მოჩვენებით ცენტრებზე, გოდოლსა თუ სასამართლოზე, მაგრამ მათ ამ ცენტრების გარეთ ეძებენ. ფუკო ეძებს „მანორმალიზებელ ძალაუფლებას“; ძალაუფლებას, რომელიც ხილულია თეორიისთვის და რომელმაც ერთ დროს მეფეს თავი მოკვეთა, ე.ი. შეწყვიტა ძალაუფლების ხედვა სუვერენული ცენტრის პერსპექტივდან. კაფუა არ მალავს თუ ძალაუფლების რა მოდელი უდევს საფუძლად მის ნაწარმოებს. ამ ასპექტით ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჰულდისა და ტიტორელის განმარტებებს.

დასკვნა

მნიშვნელოვანია, სასამართლოს გამჭვირვალობის მოთხოვნა, რომელიც სასამართლოს ის ნიშანია, რომლის საშუალებითაც ხდება მართლმსაჯულების ვიზუალიზაცია. თავისთავად სასამართლო არც სამართლიანია და არც უსამართლო. მიუხედავად იმისა, რომ აქ პროცედურული სამართლიანობა იგულისხმება.

კაფკასეული მართლმსაჯულება ადამიანს განიხილავს როგორც უსულო ნივთს. ადამიანი მთლიანად სასამართლოს ხელშია, რაც მას აიძულებს მხოლოდ სასამართლო გარჩევაზე იფიქროს, რაც მთლიანად ნთქავს ადამიანის არსებას და მას უაზრო პროცედურების მსხვერპლად ხდის. ადამიანი ვერაფრით ვერ დაუსხლტება სასამართლოს ყოვლისმცოდნესა და ყოვლისმომცველ ძალას და იგი განწირულია დასაღუპად. ესაა ადამიანურობისგან დაცლილი სისტემა. მაგრამ კაფკა ამ სისტემის აღწერით სწორედ იმაზე მიუთითებს თუ როგორი არ უნდა იყოს მართლმსაჯულება. ამით ის ხელს უწყობს სასამართლო განხილვის არსზე დადებითი პერსპექტივის გახსნას, რომელშიც სასამართლო განხილვის ჭეშმარიტი არსი ავლენს თავის თავს. მეორე მხრივ, სამართალს ხელთ აქვს მხოლოდ ჭეშმარიტი-მცდარის კოდი და სამართალს, კანონს დღეს მხოლოდ იმის შესაძლებლობა აქვს, რომ თავისი თავი, თავისი ცხოვრების გამყალბებელი კონსტრუქტების საშუალებით გაიაზროს. კანონის, სამართლის „თავდაპირველი ცოდვა“ მარტო ის კი არ არის, რომ ის თავისი ძალადობით ვწებს ლეგალურ სუბიექტებს, არამედ ისიც, რომ საუკეთესო მომენტებშიც კი(თვითკრიტიკულ სიტუაციებში) ის სჩადის ცუდს. კაფკასეული სასამართლო და კაფკასეული მართლმსაჯულება მრავალსპექტიანი და მრავალშრიული მოვლენაა. ამიტომ როცა საუბარია კაფკასეულ სასამართლო გარჩევასა და მის არსზე უპრიანია ერთმანეთისგან განსხვავებულ იქნეს პროცესი ფართო გაგებით და პროცესი ვიწრო გაგებით. პროცესის ფართო გაგება გულისხმობს იმას, რომ მთელი ადამიანური ცხოვრება ერთი გაბმული პროცესია. საქმე ისაა, რომ ადამიანური ყოველდღიურობა აღვსილია სასამართლოს პროცედურების მსგავსი მოვლენებით. მეტამორფოზა ამ მოვლენების კრებითი სახელია. ასეთი დანაშაული ბუნებაში არ არსებობს. იგი თვითონ სამართლის სისტემის მიერაა წარმოებული, მაშინ როცა ამ უკანასკნელის ფუნქცია დანაშაულის აღმოჩენაა და არა მისი წარმოება. ამ ასპექტით კაფკასეული სამართლის სისტემის არსი სწორედ დანამაულის წარმოებაა.

სამართლის დისკურში სასამართლო განხილვას ემატება სიტყვა „სამართლიანი“, მაგრამ ის არც მეტაფორაა და არც მეტაფიზიკური თუ მისტერიული სიდიდე, არამედ მასში მოაზრებულია სრულიად კონკრეტული იურიდიული ასპექტები, რომელთა შეფასება სავსებით ცხადად არის შესაძლებელი. საუბარია არა აბსტრაქტულ სასამართლო განხილვაზე, არამედ რაციონალური შინაარსის მქონე სამრთლიან და საჯარო სასამართლო განხილვაზე, რომლის უფლება ყველა ადამიანს აქვს.

„პროცესის“ პროტაგონისტი იოზეფ კ. არ იღუპება იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა თავისი საქმის მასალებზე წვდომა. კაფუამ მისთვის სხვანაირი დასასრული მოიფიქრა. იოზეფ კ. სიცოცხლეს არ ასრულებს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, რადგან სასამართლოს მისთვის სასჯელი საერთოდაც არ მიუსჯია. უფრო მეტიც, სასამართლოს სხდომა არც კი გამართულა. ერთი მხრივ იოზეფ კ.-ს პროცესი არ დასრულებულა იმიტომ, არც დაწყებულა. სასამართლო საქმის გარჩევა ისევე ფრაგმენტულია, როგორც თვითონ რომანი. მეორე მხრივ, საქმის მასალები უკიდურესად მწირია და შეიძლება ითქვას, თითქმის არ არსებობს და რაც არის ისიც მხოლოდ ვერბალური ფორმითაა. იოზეფ კ.-ს არ მიეცა სამართლიანი სასამართლოს უფლება. მის მიმართ დაირღვა საქმის ჯეროვანი განხილვის ყველა მოთხოვნა. იქმნება პირობები იმაში დასარწმუნებლად, რომ სასამართლო განხილვის საქმის მასალებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს არც თავისთავად და არც პროცესის შინაარსის გაცნობიერების თვალსაზრისით. ისე რომ, კაფუა ხატავს კოშმარულ მდგომარეობას და ამით აჩვენებს თუ როგორი არ უნდა იყოს სასამართლო და სასამართლო საქმის გარჩევა.

